

ინფორმაციის გავრცელების გზები და PR ტექნოლოგიები ჯანდაცვის
სექტორში

სტუდენტები: ქეთევან გურული

ნინო ხლუსიძე

თეონა მუმლაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
ბიზნეს სკოლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების
შესაბამისად*

ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სოფიო ლებანიძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

სარჩევი

აბსტრაქტი.....	4
შესავალი ინფორმაციულ სისტემებში.....	5
ინფორმაციული სისტემების ფორმები და ტიპები	8
ინფორმაციული სისტემების დაგეგმვა	11
ინფორმაციული სისტემის დანერგვის ფსიქო-სოციალური ასპექტები.....	13
ინფორმაციის ხარისხი	14
მონაცემის ინფორმაციად გარდაქმნის პროცესი	15
კომუნიკაციის პროცესი.....	17
კანონები და რეგულაციები	19
ჯანდაცვის საინფორმაციო სისტემა საქართველოში.....	25
მონაცემთა ბაზები მედიცინაში.....	28
სამედიცინო საინფორმაციო სისტემების პროექტიების თავისებურებები.....	29
ინოვაციური ტექნოლოგიების გავრცელების მნიშვნელობა.....	32
ხარისხის,კანონების და ეთიკის დაცვა სამედიცინო ინფორმაციის გავრცელებისას .	32
ელექტრონული მთავრობის როლი ყოველდღიურ ცხოვრებაში	34
ინფორმაციის პრობლემა, აგენტური ურთიერთობები.....	35
რაოდენობრივი კვლევა	36

რეკომენდაციები	49
ხარისხობრივი კვლევა	50
ჯავრიშვილის კლინიკა - ოფთალმიჯი	51
ზურაბ საბახტარაშვილის რეპროდუქციული კლინიკა	52
ენდოკრინოლოგიის ეროვნული ინსტიტუტი	54
რესპუბლიკური საავადმყოფო	55
ჯანდაცვის სამინისტრო	57
დასკვნა	58
ბიბლიოგრაფია	61

აბსტრაქტი

ინფორმაციის გავრცელების გზები და PR ტექნოლოგიები , კომუნიკაციის დამყარების საშუალებების მთავარი შემადგენელი ნაწილებია. სწორი , დროული , საჭირო და საიმედო ინფორმაციის მიღება გვეხმარება მივიღოთ სწორი გადაწყვეტილებები. სამედიცინო სფეროში კი ეს გადაწყვეტილებები ყველაზე მნიშვნელოვანია ,რადგან საქმე ჩვენს ჯანმრთელობას და სიცოცხლეს ეხება.

პიარი ეს არის საზოგადოებასთან ურთიერთობა ,რომელიც მოიცავს რეკლამირებას ,საინფორმაციო შეხვედრებს ,სოციალურ პასუხისმგებლობას და ყველა იმ ქმედებას ,რომელიც დაკავშირებულია კომუნიკაციის დამყარებასა და ინფორმაციის გავრცელებასთან. პიარ კამპანიის მთავარი მიზანი კომპანიისათვის არის დადებითი იმიჯის და რეპუტაციის მოპოვება, სწორედ ამიტომ ახორციელებენ კომპანიები პიარ კამპანიებს და აქტიურ კომუნიკაციას საზოგადოებასთან. სწორედ თანამედროვე პიარ ტექნოლოგიების განვითარების დამსახურებაა ის რომ დღეს ინფორმაციის მიღება შესაძლებელია სწრაფად , მარტივად ,ნაკლები დანახარებით.

კვლევის მიზანს წარმოადგენს საქართველოში არსებული სამედიცინო ინფორმაციის გავრცელების გზების და PR ტექნოლოგიების მნიშვნელობის განსაზღვრა ,მათი სპეციფიკის და მეთოდების შესწავლა . ინფორმაციის მიმღები - საქართველოს მოსახლეობის შესწავლა , თუ როგორ , რა სახით იღებენ ინფორმაციას და რამდენად მისაღებია და მოსახერხებელი ინფორმაციის ისეთი ფორმით მიღება: ,როგორც არის ინტერნეტი , სოციალური ქსელი, სატელევიზიო თუ რადიო რეკლამები. ნაშრომში განვიხილავთ ინფორმაციის გავრცელების ეფექტურ და არაეფექტურ ხერხებს . კვლევების მიზანია განსაზღვროს ინფორმაციის გავრცელების დროს მასში მონაწილე ორივე მხარის ინტერესები .

ერთის მხრივ ინფორმაციის გამავრცელებელი სამედიცინო დაწესებულებები , ჯანდაცვის ორგანიზაციები , სახელმწიფო სტრუქტურები თუ სხვა კერძო დაწესებულებები ,რომლებიც ავრცელებენ სამედიცინო ინფორმაციას და ეწევიან სამედიცინო საქმიანობას - მათ მიერ გავრცელებული ინფორმაცია რამდენად ხელმისაწვდომი და სანდოა მომხმარებლისთვის და რამდენად ეფექტურია რეკლამირების ის წყაროები ,რომლებსაც არსებული ორგანიზაციები ირჩევენ.

მეორეს მხრივ ინფორმაციის მიმღები საქართველოს მოსახლეობა ,სამედიცინო მომსახურების მიმღები პაციენტები თუ მათი ახლობლები . რა წყაროების საშუალებით იღებენ ჯანდაცვის სფეროს შესახებ ინფორმაციას , რამდენად მისაღები , ეფექტური , საიმედო , საჭირო და დროულია ის ინფორმაცია ,რომელსაც იღებენ ,ინფორმაციის გადაცემის სხვადასხვა საშუალებებით.

ინფორმაციის გავრცელების და მიღების პროცესში ჩართული ორივე მხარის კვლევებით , ჩვენ ჩამოვყალიბებთ დასკვნებს და რეკომენდაციებს , თუ რა შეიძლება გაკეთდეს მომავალში იმისათვის ,რომ გაუმჯობესდეს სამედიცინო ინფორმაციის მიღების გზები ჯანდაცვის სფეროში. რაც დაეხმარება ჯანდაცვის სფეროს ეფექტური კომუნიკაციის დამყარებაში. კარგად ინფორმირებული მოსახლეობა იღებს სწორ , დროულ და საჭირო გადაწყვეტილებებს ,რომლებიც დადებითად აისახება მათ ჯანმრთელობაზე. ჯანმრთელი მოსახლეობა ქმნის ძლიერ და ეფექტურ სამუშაო ძალას, კარგი სამუშაო ძალა ქმნის პროდუქტიულ პროდუქტებს და ზრდის სახელმწიფო ეკონომიკას რაც ხელს უწყობს ქვეყნის განვითარებას და წინსვლას.